თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანო - საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. ბათუმი

02/05/2014

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 02/226

ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. №43-ში მდებარე 133,40 კვმ არასაცხოვრებელი ფართის (სარდაფი), 700,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან მასზე წილობრივად მიმაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად საკუთრებაში განკარგვაზე პირობის გარეშე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და მათი საპრივატიზებო საწყისი ფასის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №213 განკარგულებით ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. №43-ში მდებარე 133,40 კვმ არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფი), 700,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან მასზე წილობრივად მიმაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად შეტანილია განსაკარგავ უძრავ ქონებათა ნუსხაში, ხოლო მისი საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვრა 110 000 (ას ათი ათასი) ლარით.

აღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში განკარგვაზე მიზანშეწონილია გამოცხადდეს პირობის გარეშე ელექტრონული აუქციონი თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს მიერ დადგენილი საპრივატიზებო საწყისი ფასით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, „თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, თვითმმართველი ქალაქის -

ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესი“-ს, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 30 აპრილის №20 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 24 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის შესაბამისად, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და მათი საპრივატიზებო საწყისი ფასის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №213 განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. პირობის გარეშე ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. №43-ში მდებარე 133,40 კვმ არასაცხოვრებელი ფართის (სარდაფი), 700,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან მასზე წილობრივად მიმაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად (ს/კ №05.02.48.007.01.507) საკუთრებაში განკარგვაზე.

2. უძრავი ქონების საწყის გასაყიდ ფასად დაწესდეს 110 000 (ას ათი ათასი) ლარი.

3. აუქციონის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების ოდენობად (ერთი ბიჯი) დაწესდეს არანაკლებ 3 000 (სამი ათასი) ლარი, ფასის თაობაზე შემოთავაზებული საბოლოო თანხა (ბიჯი), რომლითაც გამოვლინდა გამარჯვებული, ემატება საწყის გასაყიდ ფასს და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო გასაყიდ ფასს.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/”ბე” განისაზღვროს 33 000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი.

5. აუქციონის დაწყების და დასრულების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 02 მაისის 15:00 საათიდან 2014 წლის 19 მაისის 17:00 საათამდე.

6. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი გასაყიდი ფასის შემოთავაზება.

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სრულად შეასრულოს სააუქციონო პირობები;

8. ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ:

8.1. მისამართი: **ქ. ბათუმი, ბარათაშვილის ქ. №43;**

8.2. სარეგისტრაციო მონაცემებია: **სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი - 02, კვარტლის ნომერი - 48, ნაკვეთის ნომერი - 007.01.507, მესაკუთრე - თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერია.**

8.3. უძრავი ქონების განკარგვის წესი: **პირობის გარეშე აუქციონი;**

8.4. უძრავი ქონების განკარგვის ფორმა: **საკუთრება;**

8.5. უძრავი ქონების მდგომარეობა: **უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.**

9. მყიდველი ვალდებულია საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საბოლოო ნასყიდობის ფასის გადახდა განახორციელოს ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

10. მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საბოლოო ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვამდე, ოქმის მოქმედების პერიოდში აუქციონში გამარჯვებულს ქონება გადაეცემა მფლობელობაში და სარგებლობაში;

11. გამყიდველის მიერ ქონებაზე მყიდველს საკუთრების უფლება გადაეცემა ქონების საბოლოო ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვის შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა ნასყიდობის თანხის სრულად გადახდის დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. მყიდველს საკუთრების უფლება გადაეცემა ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით;

12. მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

13. დამტკიცდეს თვითმმართველი ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. №43-ში მდებარე 133,40 კვმ არასაცხოვრებელი ფართის (სარდაფი), 700,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან მასზე წილობრივად მიმაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად საკუთრებაში განკარგვაზე პირობის გარეშე ელექტრონული აუქციონის შესახებ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

14. დაევალოს ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს (ე.ლომაძე) სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი ფორმით.

15. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქ. ბათუმის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს რუსლან ქორიძეს.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი www.eauction.ge-ზე გამოქვეყნებიდან 3 წლის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მერია.

17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ჩავლეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე